ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3826605

ნომერი: AR1575677

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 21.02.2018

გაცნობის თარიღი : 22.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 15 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯუზეპე პაზოტო პ/ნ 01092001388
- თბილისი, აბესაძის #6

ორგანიზაცია:
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრ კოდი: 404408342

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1575677 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, ლესელიძის ქ. #15-ში, #01.18.03.038.019 საკადასტრო ერთეულზე ნებისმიერი სახის განცხადებით მომართვის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 7 თებერვლის #3781070 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (ოქმი N1, 11.01.2018 წ.), გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. #15-ში სასტუმროს ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე ქალაქ თბილისში, #01.18.03.038.019 საკადასტრო ერთეულზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge